პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1975
კვირა
2
თებერვალი
№ 28
(16154)
ფასი
2 კაპ.
1975

КОМУНИСТИ—

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ოქტომბერიდან

საჯდესის ცნობა

სამი კვირა კოსმოსში

ფრენის მართვის ცენტრი. 1 თებერვალი. (საკდესი). დამთავრდა „სალუტ — 4“ ორბიტულ სამეცნიერო სადგურში ალექსი გუბარევისა და გეორგი გრეჩკოს კოსმოსური ფრენის მესამე კვირა. 12 საათისათვის მოსკოვის დროით სადგურმა 588-ჯერ შემოუფრინა დედამიწას, აქედან 318-ჯერ — ევროპაეთურთ.

გუშინდელი, ოცდამეერთე სამუშაო დღის პროგრამით კოსმონავტები იკვლევდნენ დედამიწის ატმოსფეროს ზედა ფენებში მიმდინარე ფიზიკურ პროცესებს, ამავე დროს ზომავდნენ ატმოსფეროს ზედა ფენების ტემპერატურას, სწავლობდნენ ნეიტრალური აზოტისა და პლაზმის ნაკადების მახასიათებლებს.

დღის განმავლობაში კოსმონავტებმა განაგრძეს ახალი სანავიგაციო სისტემის „კასკადის“ დაბეჭდვა, რომელიც გათვალისწინებულია ორბიტული ფრენის სხვადასხვა რეჟიმში სადგურის ხანგრძლივი ორიენტაციის ავტომატური დაცვისათვის. ამ სისტემის გამოყენების შედეგად რამდენჯერმე შემცირდება ორიენტაციის ძრავების ხათბობის ხარჯვა. ფრენის პროცესში „კასკადის“ სისტემა პერიოდულად ირთვება მართვის საბორტო კომპიუტერში დაგეგმილი მეცნიერული ექსპერიმენტების უზრუნველყოფისათვის. კერძოდ, ატმოსფეროს კვლევის დროს ა. გუბარევმა [illegible] ინსტალაციები, [illegible] სადგურის ორიენტაციისათვის. [illegible] 40 წუთზე მოსკოვის დროით. დედამიწასთან რადიოკავშირის პირველ სეანსში ეკიპაჟის მეთაურმა ალექსი გუბარევმა დედამიწაზე გადმოსცა, კოსმონავტებმა კარგად დავისვენეთ, თავს კარგად ვგრძნობთ და ჩინებულ გუნებაზე ვართო. დღის განმავლობაში ეკიპაჟი განახორციელებს ასტროფიზიკურ და ტექნიკურ კვლევასა და ექსპერიმენტებს.

„სალუტ-4“ ორბიტული სამეცნიერო სადგური განაგრძობს ფრენას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება 8 თებერვალს მოიწვიოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის რესპუბლიკური კრება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულნი.

კრების მონაწილენი, რომელიც საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართება, იქნებიან მეცხრე ხუთწლედის გმირები, სამრეწველო წარმოების, მშენებლობებისა და ტრანსპორტის ნოვატორები და მოწინავეები, უხვი მოსავლის ოსტატები, მეცნიერები და შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლები.

ისინი შეაჯამებენ გასული წლის შედეგებს, დასახავენ ხუთწლედის დამამთავრებელი წლის გეგმების შესრულების კონკრეტულ გზებს, იკისრებენ სოციალისტურ ვალდებულებებს პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვისა და 1975 წელს სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების პასუხად. რესპუბლიკის მშრომელებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ხუთწლედის დამამთავრებელი წელი, რომელიც დიდმნიშვნელოვანი ეტაპია კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აშენებაში, გადააქციონ დამკვრელური შრომის წლად.

რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულნი, უნდა გადაიქცეს შრომის ნამდვილ დღესასწაულად. მისი მონაწილენი შეხვდებიან რესპუბლიკის დედაქალაქის მოწინავე საწარმოთა კოლექტივებს, სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელებს, ესტუმრებიან შემოქმედებითს კავშირებსა და ორგანიზაციებს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამს რწმენას, რომ პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულთა მონაწილეობით ხელს შეუწყობს მასების შრომითი და პოლიტიკური აქტივობის შემდგომ ზრდას, ყველა რეზერვისა და შესაძლებლობის მობილიზაციას იმისათვის, რომ რესპუბლიკამ წარმატებით განახორციელოს მეცხრე ხუთწლედის პროგრამა. (საქინფორმი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტში

1975 წლის საზაფხულო-სამეურნეო გეგმის ვადამდე შესრულებისა და მეცხრე ხუთწლედის წარმატებით დამთავრებისათვის საქართველოს მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის მუშაკთა სოციალისტური შეჯიბრების შესახებ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ და საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღეს დადგენილება „1975 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის ვადამდე შესრულებისა და მეცხრე ხუთწლედის წარმატებით დამთავრებისათვის საქართველოს მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის მუშაკთა სოციალისტური შეჯიბრების შესახებ“.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ საქართველოს მშრომელებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ფართოდ გაშალეს საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრება და თავდადებით შრომობენ სკკპ XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

რესპუბლიკის მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების მუშაკებმა ხუთწლედის განმსაზღვრელ წელს ახალი შრომითი წარმატებანი მოიპოვეს.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1975 წლის სახელმწიფო გეგმა, რომელიც მოიწონა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1974 წლის დეკემბრის პლენუმმა და დამტკიცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიამ, განსაზღვრავს თვითეული დარგის, თვითეული შრომითი კოლექტივის მოქმედების კონკრეტულ პროგრამას, მიზნად ისახავს ეკონომიკის ზრდის სწრაფ ტემპს, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის არსებით ამაღლებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებების, პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვის პასუხად რესპუბლიკის მოწინავე მუშები და შრომითი კოლექტივები ენერგიულად გადადებენ სოციალისტურ ვალდებულებებს და იღებენ შემხვედრ გეგმებს, რათა ვადამდე შეასრულონ მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის სახალხო-სამეურნეო გეგმა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ და საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინეს:

მოწონებულ იქნას სოციალისტური ვალდებულებანი 1975 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, რომლებიც შეიმუშავეს და განიხილეს საქართველოს სსრ მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა და ორგანიზაციათა, მეცნიერებისა და კულტურის დაწესებულებათა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კოლექტივებმა.

საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულმა კომიტეტებმა, სამინისტროებმა, უწყებებმა, საწარმოთა ხელმძღვანელებმა, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, მშრომელთა დეპუტატების საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა, პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა:

— მიიღონ განსაზღვრული შესრულებისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და ხრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „1975 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის ვადამდე შესრულებისა და მეცხრე ხუთწლედის წარმატებით დამთავრებისათვის მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის მუშაკთა სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შესახებ“, მიიჩნიონ იგი მოქმედების სახელმძღვანელოდ;

— ყოველნაირად გააძლიერონ ორგანიზატორული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი განვითარებისათვის, ამასთან მიიჩნიონ, რომ შეჯიბრება როგორც კოლექტივებში, ისე მონათესავე და მომჯავნავე საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის, რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებს შორის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია 1975 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმისა და საეროდ მეცხრე ხუთწლედის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით ვადამდე შესრულების საქმეში;

— სოციალისტური შეჯიბრება, ისევე როგორც წინა წლებში, უნდა მიმდინარეობდეს ლოზუნგით — გამოვუშვათ მეტი, უკეთესი ხარისხის პროდუქცია ნაკლები დანახარჯებით;

— შეჯიბრების მონაწილეთა ღონისძიებანი წარმართონ წარმოების მოცულობის გადიდებისა და დადგენილი ნომენკლატურის და ასორტიმენტის პროდუქციის მიწოდებათა გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის იმ გზით, რომ მოახდენენ საწარმოთა რეკონსტრუქციასა და ტექნიკურ განახლებას, დაჩქარებენ ახალი საწარმოო სიმძლავრეების ათვისებას და უფრო სრულად გამოიყენებენ მოქმედ საწარმოო სიმძლავრეებს, განახორციელებენ ტექნიკური პროცესების ინტენსიფიკაციას, თვითეული საწარმოო ვადამდე შეასრულებს კოოპერირებული მიწოდების გეგმებსა და სახელშეკრულებო ვალდებულებებს;

— უზრუნველყონ პროდუქციის ხარისხის არსებითი გაუმჯობესება, მისი ტექნიკური დონის ამაღლება, ხარისხსნიშნიანი ნაწარმის გამოშვების გადიდება;

— უზრუნველყონ შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპის გადიდება მოწინავე ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვის დაჩქარების, შრომის, წარმოებისა და მართვის ორგანიზაციის სრულყოფის, სამუშაო დროის რაციონალური გამოყენების გზით;

სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის დროს განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ წარმოების რეზერვების მაქსიმალურ გამოყენებას, ნედლეულის, მასალების, სათბობის, ელექტროენერგიის მომჭირნეობას, დანაკარგების. ნარჩენებისა და არამწარმოებლური დანახარჯების მნიშვნელოვან შემცირებასა და აღმოფხვრას;

— უზრუნველყონ კაპიტალურ დაბანდებათა შემდგომი გადიდება, ასამოქმედებელი ობიექტების ხელსაყოფად ექსპლოატაციოდ გადაცემის დაჩქარება, ახლად ამოქმედებული სიმძლავრეების ათვისების ვადების შემცირება და არსებული სიმძლავრეების უკეთ გამოყენება, მოქმედი საწარმოების რეკონსტრუქციის დაჩქარება;

— უზრუნველყონ საჭირო პირობების შექმნა იმისათვის, რომ ბრიგადების, უბნებისა და საამქროების მუშებმა და კოლექტივებმა წარმატებით შეასრულონ ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი და შემხვედრი გეგმები;

— უზრუნველყონ სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობის რეგულარული კონტროლი.

1975 წელს გაგრძელდეს რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრება:

— ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში, ქალაქებსა და რაიონებში სახალხო მეურნეობის ყველა დარგის საწარმოთა მიერ 1975 წლის გეგმისა და მთლიანად მეცხრე ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის;

— სამეცნიერო-საკვლევი, საპროექტო და საკონსტრუქტორო ორგანიზაციებისა და საწარმოების კოლექტივებისა და უმნიშვნელოვანეს მეცნიერულ-ტექნიკურ პრობლემებზე სახალხო-სამეურნეო გეგმის წარმატებით შესრულებისათვის.

პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა, სამეურნეო ორგანოებმა, სამინისტროებმა და უწყებებმა ყოველნაირად უნდა გააიროელონ მოწინავე მუშების, ბრიგადების. ცვლების, უბნების პატრიოტული ინიციატივა, რათა სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 30 წლისთავის აღსანიშნავად მოაწყონ დამკვრელური შრომის ვახტები.

ფართოდ გამოიყენონ დადებითი გამოცდილება, რომელიც დაგროვილია მიმდინარე ხუთწლედში თვითეული მუშისათვის საგეგმო დავალებების გაცნობის საფუძველზე შრომის ნაყოფიერების გადიდებას, ოთხ დღეში ხუთი დღის დავალებათა შესრულების, მუშაკთა რიცხვის გაუდიდებლად და მინიმალური კაპიტალური დანახარჯებით სამრეწველო პროდუქციის გამოშვების ზრდის, წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვის დაჩქარების, უმაღლესი და პირველი კატეგორიის ხარისხის ნაკეთობათა ხვედრითი წონის გადიდების, მატერიალური რესურსების მომჭირნეობის გზით ზეგეგმითი პროდუქციის გამოშვების საქმეში.

წლის შედეგების მიხედვით რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულთა დასაჯილდოებლად დაწესდეს:

— საწარმოთა, საწარმოო გაერთიანებათა, მშენებლობათა, სამეცნიერო-საკვლევი და სხვა ორგანიზაციათა კოლექტივებისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის 52 გარდამავალი წითელი დროშა, დიპლომები და ფულადი პრემიები — 38 ათას მანეთამდე ოდენობით (მათ შორის ოთხი უმნიშვნელოვანეს მეცნიერულ-ტექნიკურ პრობლემებზე სახალხო-სამეურნეო გეგმის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის);

— კოლექტივებს, რომლებმაც მიიღეს და შეასრულეს დაძაბული შემხვედრი გეგმები და უზრუნველყვეს ზეგეგმითი პროდუქციის გამოშვება დაზოგილი ნედლეულისა და მასალების ხარჯზე, მოემატოთ აღნიშნული პრემიების ოდენობა 25 პროცენტის ფარგლებში.

პრემიების აღნიშნულ გადიდებას შეიძლება მოხმარდეს დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით (შემხვედრი გეგმის გაუთვალისწინებლად) დაზოგილი ნედლეულის, მასალების ხარჯზე ზეგეგმითი პროდუქციის რეალიზაციის შედეგად მიღებული ზეგეგმითი მოგების დაახლოებით 40 პროცენტი;

— საქართველოს სსრ ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქისათვის — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის 1 გარდამავალი წითელი დროშა, ხოლო რაიონებისათვის (მრეწველობის მიხედვით) — ხუთი გარდამავალი წითელი დროშა;

ქალაქებისა და საქალაქო რაიონებისათვის — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის 12 გარდამავალი წითელი დროშა, დიპლომები და ფულადი პრემიები 4 ათას მანეთამდე ოდენობით;

— საუკეთესო ბრიგადებისათვის (უბნებისათვის) — სამინისტროებს (უწყებების) და პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტების საპატიო ვიმპელები.

დაწესდეს, რომ ვიმპელები დაჯილდოებულ ბრიგადების წევრებს გადაეცემათ დიპლომები და სამახსოვრო საჩუქრები;

წამყვანი პროფესიის მუშათა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთათვის — სამინისტროების (უწყებების), პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტების საპატიო დიპლომები და სამახსოვრო საჩუქრები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშებითა და დიპლომებით დაჯილდოებული საწარმოებისა და ორგანიზაციების კოლექტივებისათვის პრემიების გაცემა წარმოება:

— სამეურნეო ანგარიშზე მყოფ საწარმოებსა და ორგანიზაციებში, — ზეგეგმითი მოგების ან კალენდარული წლის დაწყებიდან საწარმოს თუ ორგანიზაციის მიერ მიღებული პროდუქციის თვითღირებულების შემცირების შედეგად ზეგეგმითი ეკონომიის ხარჯზე; დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადაყვანილ საწარმოებსა და ორგანიზაციებში, თუ არა აქვთ საკმარისი ზეგეგმითი მოგება — საწარმოს მოგების თავისუფალი ნაშთის ხარჯზე.

— სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, — დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხარჯთაღრიცხვაში ეკონომიის ხარჯზე, ხოლო თუ საკმარისად არა აქვთ ეს სახსრები — მთლიანად შესაბამისი სამინისტროს (უწყების) ხარჯთაღრიცხვაში ეკონომიის ხარჯზე.

რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრებას მონაწილე კოლექტივებს, რომლებიც დაჯილდოვდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის 1 გარდამავალი წითელი დროშა, ხოლო რაიონებისათვის (მრეწველობის მიხედვით) — ხუთი გარდამავალი წითელი დროშა;

ქალაქებისა და საქალაქო რაიონებისათვის — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის 1 გარდამავალი წითელი დროშა, ხოლო რაიონებისათვის (მრეწველობის მიხედვით) — ხუთი გარდამავალი წითელი დროშა;

ქალაქებისა და საქალაქო რაიონებისათვის — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის 12 გარდამავალი წითელი დროშა, დიპლომები და ფულადი პრემიები 4 ათას მანეთამდე ოდენობით;

— საუკეთესო ბრიგადებისათვის (უბნებისათვის) — სამინისტროების (უწყებების) და პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტების საპატიო ვიმპელები.

დაწესდეს, რომ ვიმპელები დაჯილდოებულ ბრიგადების წევრებს გადაეცემათ დიპლომები და სამახსოვრო საჩუქრები;

წამყვანი პროფესიის მუშათა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთათვის — სამინისტროების (უწყებების), პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტების საპატიო დიპლომები და სამახსოვრო საჩუქრები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშებითა და დიპლომებით დაჯილდოებული საწარმოებისა და ორგანიზაციების კოლექტივებისათვის პრემიების გაცემა წარმოება:

— სამეურნეო ანგარიშზე მყოფ საწარმოებსა და ორგანიზაციებში, — ზეგეგმითი მოგების ან კალენდარული წლის დაწყებიდან საწარმოს თუ ორგანიზაციის მიერ მიღებული პროდუქციის თვითღირებულების შემცირების შედეგად ზეგეგმითი ეკონომიის ხარჯზე; დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადაყვანილ საწარმოებსა და ორგანიზაციებში, თუ არა აქვთ საკმარისი ზეგეგმითი მოგება — საწარმოს მოგების თავისუფალი ნაშთის ხარჯზე.

— სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, — დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხარჯთაღრიცხვაში ეკონომიის ხარჯზე, ხოლო თუ საკმარისად არა აქვთ ეს სახსრები — მთლიანად შესაბამისი სამინისტროს (უწყების) ხარჯთაღრიცხვაში ეკონომიის ხარჯზე.

რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრებას მონაწილე კოლექტივებს, რომლებიც დაჯილდოვდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშებითა და დიპლომებით, პრემიები ეძლევათ იმავე ოდენობით, რაც საწარმოებსა და ორგანიზაციებს, რომლებსაც წინათ (1973 წლამდე) რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შედეგებით მიენიჭათ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშები.

შენარჩუნებულ იქნეს დარგის საწარმოების, მშენებლობების, ორგანიზაციების სოციალისტური შეჯიბრების შედეგების ყოველკვარტალური შეჯამებისა და მათთვის სამინისტროების (უწყებების) და პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტების გარდამავალი წითელი დროშებისა და ფულადი პრემიების გადაცემის წესი.

რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში შედეგების შეჯამება და გამარჯვებულთა განსაზღვრა უნდა ხდებოდეს 1975 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმისა და ნაკისრი სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების შედეგებით, ამასთან გათვალისწინებული უნდა იყოს ხუთწლიან დავალებათა შესრულება.

იმ მიზნით, რომ გააძლიერონ საუკეთესო კოლექტივების, წარმოების მოწინავეებისა და ნოვატორების მიღწევათა პროპაგანდა და ფართოდ გაავრცელონ ისინი, სამინისტროებმა და უწყებებმა უნდა შეიმუშაონ და 1975 წელს განახორციელონ საწარმოების, საამქროების, ბრიგადების, წამყვან პროფესიათა მუშების მოწინავე გამოცდილების შესწავლისა და დანერგვის კონკრეტული პროგრამა;

განავითარონ და განამტკიცონ საწარმოო კოლექტივების თანამეგობრობა სამეცნიერო-საკვლევ, საკონსტრუქტორო და საპროექტო ორგანიზაციებთან. უმაღლეს სახწავლებლებთან შრომის მოწინავე მეთოდების, მეცნიერებისა და პრაქტიკის მიღწევების გავრცელებასა და დანერგვაში.

რესპუბლიკური და ადგილობრივი გაზეთების რედაქციებმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა საინფორმაციო სააგენტომ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა:

— სისტემატურად უნდა გაშუქონ რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობა, კონკრეტულ მიჯნები, რომლებსაც მიაღწევენ მოწინავე მუშები, ბრიგადები, საამქროები, საწარმოები, ქალაქები, ოლქი. ავტონომიური რესპუბლიკები 1975 წლის მანძილზე, შემხვედრ გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულების კვარტალური და წლიური შედეგები;

— გააუმჯობესონ შრომის ნაყოფიერების გადიდების საკითხი, ნაწარმის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, საწარმოო სიმძლავრეთა ამოქმედებისა და ათვისების დაჩქარებისათვის, დიდმწარმოებლურ სახეობათა მანქანებისა და მოწყობილობის ტექნოლოგიური პროცესებისა და ახალ მასალების შემუშავებისა და წარმოებაში დანერგვისათვის სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციაში კონკრეტული გამოცდილების გაშუქება: მოაწყონ შეჯიბრების მონაწილე კოლექტივებისა და წამყვან პროფესიათა მუშების გადაძახილი;

უფრო მკაფიოდ და უფრო ღრმად უჩვენონ სოციალისტური შეჯიბრების. როგორც თვითეული საბჭოთა ადამიანის შემოქმედებითი ნიჭის, მასების ინიციატივის განვითარებისა და სოციალისტური კოლექტივიზმის ჩამოყალიბების ქმედითი საშუალების აღმზრდელობითი როლი; იბრძოლონ სოციალისტური შეჯიბრების საკითხებზე პრესის, რადიოსა და ტელევიზიის გამოსვლების ქმედითობის შემდგომი ამაღლებისათვის;

— განაგრძონ რესპუბლიკურ და ადგილობრივ გაზეთებში სოციალისტური შეჯიბრების მსვლელობისა და შედეგების ჩვენებისადმი მიძღვნილი სპეციალური გვერდების პუბლიკაცია.

საწარმოების, მშენებლობების, ტრანსპორტისა და რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სხვა დარგების ხელმძღვანელებმა, პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა უნდა გამოიყენონ შრომითს კოლექტივებში თვალსაჩინო აგიტაციის სხვადასხვა საშუალებანი. მკაფიო, გასაგები ფორმით გააშუქონ ინამაცანები, რომლებიც დასახულია საწარმოების, ორგანიზაციების წინაშე. უჩვენონ მათი წარმატებით გადაწყვეტის გზები და საშუალებანი.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე განახლდეს სრულიად საკავშირო და რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულების მეცხრე ხუთწლედის გმირების გალერეა. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ უნდა მოაწყოს სამინისტროებსა და მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და სხვა დარგების საწარმოებში. ავრეთვე ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქში, რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში შემხვედრი გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულების აღრიცხვა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა უნდა უზრუნველყოს სამინისტროების (უწყებების) და პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტების შეკვეთით სოციალისტური შეჯიბრების საკითხებზე პლაკატებისა და თვალსაჩინო აგიტაციის სხვა საშუალებების მასობრივი ტირაჟებით დამზადება. ავრეთვე დარგებში. საწარმოებსა და ორგანიზაციებში შეჯიბრების გამარჯვებულთა დასაჯილდოებლად საპატიო სიგელების დამზადება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა 1975-1976 წლებში უნდა. გამოუშვან დოკუმენტური ფილმები, რომლებიც გვიჩვენებენ მეცხრე ხუთწლედის მოწინავეთა გმირულ საქმეებსა და მათი მუშაობის გამოცდილებას.

* * *

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ საქართველოს სს რესპუბლიკის მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების ყველა მშრომელი კიდევ უფრო ფართოდ გაშლიან საყოველთაო-სახალხო სოციალისტურ შეჯიბრებას, უზრუნველყოფენ 1975 წლის სახალხო სამეურნეო გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას, წარმატებით დაამთავრებენ მეცხრე ხუთწლედს. (საქინფორმი).

მეგობრული ვიზიტით

1 თებერვალს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო მეგობრული ვიზიტით გაემგზავრა სირიის არაბთა რესპუბლიკაში. (საკდესი).

□

ტაჯიკურ ენაზე

დუშანბე. 31. იანვარი. (საკდესის კორ.). რესპუბლიკურმა გამომცემლობა „ირფონმა“ ტაჯიკურ ენაზე გამოუშვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის „ენინი ცხოვრებისა და საქმიანობა“ ლ. ბრეჟნევის სიტყვებისა და სტატიების მეოთხე ტომი „ლენინური ეურსთან“.

კრებულში შეტანილია 1972-1974 წლებში ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვები, მოხსენებები და გამოსვლები.

შეასრულეს იანვრის გეგმა

ბაკურიანი. (საკ. კორ.). პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვას პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი საქმით უპასუხებს სალიეთის მარმარილოს მაღაროს კოლექტივი. მან ექვსი დღით ადრე — 25 იანვარს შეასრულა წლის პირველი თვის დავალება. გამოშვებულია 3.200 ტონა მარმარილოს ნამეც�es და 65 კუბური მეტრი მარმარილოს ბლოკი.

წარმატებით მუშაობენ ვასილ და ბეჟან მოდებაძეების საწარმოო ცვლები. შრომის საუკეთესო ნიმუშებს აძლევდნენ მარმარილოს მომპოვებლები ლ. კაბანაძე, გ. ჭუმბურიძე, ვ. მოდებაძე და სხვები.

მაღაროს კოლექტივი თვის ბოლომდე გეგმის გადამეტებით გამოუშვებს 600 ტონა მარმარილოს ნამეცეს და 20 კუბურმეტრ მარმარილოს ბლოკს.

ბათუმი. (საკ. კორ.). პარტიისადმი, ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვას ბათუმელმა მეკონსერვეებმა თავდადებული შრომით უპასუხეს და შესანიშნავ შედეგებსაც მიაღწიეს. მათ იანვრის გეგმა თვის 24 რიცხვში შეასრულეს.

ბათუმელი მეკონსერვეების ნახელავი იანვარში გაეგზავნა ციმბირის, შორეული აღმოსავლეთის, ურალის, ზღვისპირეთის მხარისა და სხვა რაიონების მშრომელებს, განსაკუთრებით დიდი მოთხოვნილებაა ციტრუსოვანთა მურაბაზე, ჯემზე, ცუკატსა და სხვადასხვა ასორტიმენტის ნაყენებზე.

ДАМСАРИСХЕБЕЛИ ნაირა კონიაშვილი კარგი ავტორიტეტით სარგებლობს თბილისის წინდის ფაბრიკა „კრწანისში“. იგი გრაფიკის გასწრებით მუშაობს, ხუთდღიან დავალებას ოთხ დღეში ასრულებს. სამუშაოს სკოლადამთავრებული ნაირა კონიაშვილი მალე დაეუფლა პროფესიას და ერთ-ერთი საუკეთესო დამსარისხებელი გახდა. იგი აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივ საქმეში — „კომკავშირული პროექტორის“ მუშაობაში. სურათზე: ნაირა კონიაშვილი.

ვ. ბორგუნოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის გადაწყვეტილებანი — ცხოვრებაში!

ყოველი ღონისძიებით აუამაღლოთ სავაჭრო მომსახურების დონე

სახელმწიფო ვაჭრობის მუშაკთა პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება

მეცხრე ხუთწლედის წლებში ჩვენმა ქვეყანამ დიდი წარმატებანი მოიპოვა ეკონომიკის განვითარებაში და ამის საფუძველზე განუხრელად უმჯობესდება ხალხის მატერიალური კეთილდღეობა. პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი ცენტრალური კომიტეტის მიმართვაში ნათქვამია, რომ პარტია კვლავაც ყოველ ღონეს იხმარს, რათა აამაღლოს ხალხის ცხოვრების დონე. ამ დიდმნიშვნელოვანი ამოცანის შესრულებას განუყრელად დაკავშირებულია არა მარტო სახალხო მოხმარების საკონლის წარმოების განვითარებასთან, არამედ ვაჭრობის სრულყოფასთან. მიუხედავად იმისა, რომ ვაჭრობა სახალხო მეურნეობის სფერომოა დარგი არ არის, იგი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საბჭოთა ადამიანების მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებასა და კულტურული დონის ამაღლებაზე.

როგორ ასრულებენ ჩვენი რესპუბლიკის ვაჭრობის მუშაკები პარტიის მოთხოვნებს მოსახლეობის ხვაჭრო მომსახურების გაუმჯობესების შესახებ, რა გაკეთდა და რა უნდა გაკეთდეს კიდევ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1973 წლის 22 ივნისის დადგენილების განხორციელებისათვის.

ეს საკითხები იდგა სახელმწიფო ვაჭრობის მუშაკთა პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების მონაწილეთა ყურადღების ცენტრში, რომელზეც განიხილეს საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის **მ. მეგრელიშვილის** მოხსენება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის შედეგებისა და მოსახურების მომსახურების გაუმჯობესებლად სახელმწიფო ვაჭრობის მუშაკთა ამოცანების შესახებ.

მოხსენების განხილვაში რესპუბლიკის სავაჭრო ორგანიზაციათა ხელმძღვანელებთან ერთად მონაწილეობდნენ პარტიის თბილისის საქარხნო რაიკომის პირველი მდივანი **რ. გოგლიძე**, ქუთაისის „მრეწველმაჭრობის“ პარტიული ორგანიზაციის მდივანი **ზ. თევდორაძე**, ქალაქ თბილისის პირველი მაისის რაიონის „კვებმაჭრობის“ ქსელის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი **ნ. ჭელიძე**, ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე **გ. ფაჩუაშვილი**, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სოციალისტური საკუთრების დაცვისა და სპეკულაციასთან ბრძოლის სამმართველოს უფროსი **შ. გორგაძე**, კაფე „ცისკრის“ დირექტორი **ო. თოფურიძე**, რესთავის მეტალურგიული ქარხნის საზოგადოებრივი კვების კომბინატის დირექტორი **ნ. წაკლაური** და სხვები.

პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ე. შევარდნაძემ.**

კრებაზე ღრმად და ყოველმხრივ გააანალიზეს სახალხო მეურნეობის დიდმნიშვნელოვანი დარგის — ვაჭრობის მდგომარეობა. კრებაზე მონაწილეებმა განსაკუთრებული ყურადღება დუთმეს გადაუჭრელ პრობლემებს, ამოცანებს, რომლებიც გამომდინარეობენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური XIV პლენუმის გადაწყვეტილებებიდან.

შეფასეს რა ბოლო დროს რესპუბლიკის სახელმწიფო ვაჭრობის საწარმოთა მიერ გაწეული მუშაობა, კრების მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ შარშან ვაჭრობაში მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა. საცალო საქონელბრუნვა წინა წელთან შედარებით 6,3 პროცენტით გაიზარდა და ამ მაჩვენებლით საერთო-საკავშირო დონეს გადააჭარბა, შესამჩნევად გაუმჯობესდა კარტოფილით, ბოსტნეულით, ხილითა და სხვა სურსათ-სანოვაგით, თან შორის ისეთი სანოვაგით მოსახლეობის მომარაგება, როგორიცაა ხორცი, ყველი, კვერცხი, მცენარეული ზეთი, რომელთა რეალიზაცია მნიშვნელოვნად გაიზარდა 1973 წელთან შედარებით. დეფიციტური აღარ არის მთელი რიგი სამრეწველო საქონელი.

დადებითი შედეგები მოაქვს ვაჭრობაში გაჩაღებულ ბრძოლას მომხვეჭელობის, გამომძალველობის, მყიდველთა მოტყუებისა და საბჭოთა ვაჭრობის წესების დარღვევათა წინააღმდეგ, რომლებზეც ლაპარაკი იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმზე. ამავე დროს, ხაზგასმით აღინიშნა კრებაზე, ჯერ კიდევ მეტად დაბალია სავაჭრო მომსახურების დონე, რომელიც არ შეესაბამება დროის მოთხოვნებს.

კრებამ მთელი პირდაპირობითა და პრინციპულობით, ღრმად პარტიული პოზიციებიდან გააკრიტიკა ისინი, ვინც ძალიან ნელა და გაუბედავად აღმოფხვრის ძირეულ ნაკლოვანებებს ვაჭრობის ორგანიზაციაში, კადრებთან მუშაობაში.

კრებაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ სავაჭრო ორგანიზაციების მუშაობაში ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებანი მომდინარეობს არცთუ ისე შორეულ წარსულიდან, როცა ვაჭრობას ადამიანები აუცილებლად უკავშირებდნენ ისეთ ცნებებს, როგორიცაა ჯიბის გასქელება, მოტყუება, პირდაპირი ქურდობა, მყიდველებისა და სახელმწიფოს ხარჯზე გამდიდრებისადმი მისწრაფება, მექრთამეობა, პროტექციონიზმი, სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, უხეში ხარვეზები ეკონომიკაში და სხვა ნეგატიური მოვლენები, რომელთა წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლა გაიშალა რესპუბლიკაში პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ საკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შემდეგ, როგორც ფოკუსში, თავმოყრილი იყო ვაჭრობაში.

ისე გულუბრყვილონი როდი ვართ, აღინიშნა კრებაზე, რომ ვიფიქროთ, თითქოს შეიძლებოდეს მოკლე ხანში ბოლო მოვუღოთ ყველა ნაკლოვანებასა და ნეგატიურ მოვლენას, რომლებიც მრავალი წლის მანძილზე მკვიდრდებოდა და ამ ხნის მანძილზე ლამის დაკანონებულ სისტემად იქცა ბევრი დარგისა და უწყების მუშაობაში.

მაგრამ ყოველივე ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ შეიძლება შევურიგდეთ ისეთ მდგომარეობას, როცა ძალიან ნელა წარმოებს ბრძოლა ვაჭრობაში ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ. ვაჭრობის მუშაკებს ხომ განსაკუთრებულ მოთხოვნებს ვუყენებთ. ბევრ რამეში ვაჭრობის საქმეებით შეიძლება ვიმსჯელოთ იდემიანთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის სახელმწიფოს უდიდესი ზრუნვის ნაყოფზე.

კრების მონაწილენი, რომლებიც ავლენდნენ მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების ორგანიზაციაში არსებულ ნაკლოვანებებს, ამავე დროს აღნიშნავდნენ იმ სერიოზულ სიძნელეებსაც, რომლებსაც ვაჭრობის მუშაკები აწყდებიან. სავაჭრო მომსახურების დონეზე უშუალოდ ახდენენ გავლენას მრეწველობის, მატერიალურ ტექნიკური მომარაგების, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი. მთელი რიგი სერიოზული საყვედურების მოსმენა მოუხდათ კრების მონაწილე მსუბუქი მრეწველობის მინისტრს **გ. გამცემლიძეს**, კვების მრეწველობის მინისტრს **რ. კონცელიძეს**, ადგილობრივი მრეწველობის მინისტრს **მ. მაღრაძეს**, საქართველოს სსრ მთავარმომარაგების უფროსს **მ. კოდუახა** და რესპუბლიკის სხვადასხვა სამინისტროსა და უწყების სხვა ხელმძღვანელ მუშაკებს. კრებაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ მათი მისამართით გამოთქმული საყვედურები და შენიშვნები უნდა გათვალისწინონ მუშაობაში, ხოლო ნაკლოვანებანი — აღმოფხვრან.

აღინიშნა, რომ განსაკუთრებით მწვავედ დგას სავაჭრო ქსელში გაგზავნილი საქონლისა და პროდუქტების ასორტიმენტის გაფართოებისა და ხარისხის გაუმჯობესების პრობლემა. ხარისხის საკითხები არის და იქნება რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციათა ყურადღების ცენტრში.

ვაჭრობაში ნეგატიური მოვლენების ლიკვიდაციისათვის ბრძოლაში აქტიურად უნდა ჩაერთვათ ამ დარგში მომუშავე კომუნისტების მთელი არმია, რომელთა რიცხვი 12 ათასს აღემატება. სერიოზული მოთხოვნები წაუყენეს კრებაზე კომუნისტებს, რომლებსაც ხელმძღვანელი პოსტები უკავიათ ვაჭრობაში. **სავაჭრო ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს უნდა ახსოვდეთ და ესმოდეთ, რომ მათ პირადი, პერსონალური პასუხისმგებლობა ეკისრებთ მინდობილი საქმისათვის.**

კრებაზე ლაპარაკი იყო მოთხოვნის შესწავლისა და პროგნოზირების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებზე, სსრ კავშირის მოთხოვნისა და ვაჭრობის კონიუნქტურის შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის საქმიანობა სრულიად არ შეესაბამება თავის დანიშნულებას. იგი ჯერ კონკრეტულად თითქმის არაფერით არ დახმარებია რესპუბლიკის ვაჭრობის უქეთ მოწყობის საქმეს.

მწვავედ გააკრიტიკეს საბითუმო ბაზები. კრებაზე აღინიშნა, რომ მათ მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი, რომლებზეც არაერთხელ ყოფილა ლაპარაკი, ისევ არის. ისინი კვლავინდებურად სუსტად ახდენენ ზემოქმედებას მრეწველობაზე — გაფართოოს პროდუქციის ასორტიმენტი და გაუმჯობესოს მისი ხარისხი. ეს ბაზები ჯერ კიდევ არ გამხდარა სავაჭრო ქსელში უხარისხო საქონლის შემოღწევის ბარიერად. დღემდე საბოლოოდ არ აღმოფხვრილა პირობები, რომლის დროსაც საბითუმო ბაზები დეფიციტური საქონლის გაანაწილების პროცესს გამომძალვისათვის იყენებდნენ. ბაზებში კვლავ უხეშად ირღვევა და მახინჯდება საბჭოთა ვაჭრობის წესები. საჭიროა, რომ ძირეულად და რაც შეიძლება მოკლე დროში კარდინალურად გადაიჭრას ეს პრობლემა, საბითუმო ბაზები გადაიქცეს რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში ვაჭრობის სწორი ორგანიზაციის დიდმნიშვნელოვან იარაღად.

კრებაზე აღინიშნეს საოცარი ფაქტი: თბილისს ერთ-ერთი უდიდესი საწარმოს-ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისნის“ მუშათა სასადილოში რამდენიმე დღის განმავლობაში არ მოეტანიათ ხორცი. ამავე დროს იგი ჭარბად იყო საწყობებსა და ბაზებში და მხოლოდ ცალკეულ მუშაკთა უპასუხისმგებლობა არის ასეთი უმსგავსობის მიზეზი.

ვაჭრობის მუშაკთა დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა, აღინიშნა კრებაზე, აღმოიფხვრას სერიოზული ნაკლოვანებანი მოკაკარაკეთა სავაჭრო მომსახურებაში.

კრებაზე ბევრი ითქვა ვაჭრობის მუშაკის პრესტიჟის შესახებ. წარსულში ვაჭრობაში მუშაობა ზოგიერთს სამარცხვინო საქმედ მიაჩნდა. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ვაჭრობის მუშაკის პროფესია საზოგადოების თვალში ისეთივე საპატიო გახდეს, როგორც, მაგალითად, მეტალურგის, მაღაროელის, მშენებლის პროფესია. მაგრამ პროფესიის პრესტიჟის ამაღლება უწინარეს ყოვლისა თვით ვაჭრობის მუშაკთა საქმეა.

კრებაზე დიდი ადგილი დაეთმო ვაჭრობის მუშაკების საბინაო და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების, საქონლებრუნვის გეგმის შესრულებაში, მყიდველთა სავაჭრო მომსახურების დონის ამაღლებაში მოპოვებული წარმატებებისათვის მორალური და მატერიალური სტიმულირების ღონისძიებათა უფრო ფართოდ გამოყენების საკითხებს. არ უნდა შეეურიგდეთ იმას, აღინიშნა, კრებაზე, რომ ვაჭრობის საწარმოებში ხშირად არ ინერგება შრომატევად სამუშაოთა ყველაზე ელემენტარული მექანიზაცია. საჭიროა, შევისწავლოთ და გავიზიაროთ სხვა რესპუბლიკების იმ სავაჭრო ორგანიზაციების მოწინავე გამოცდილება, სადაც დადებითადაა გადაჭრილი ვაჭრობის მუშაკთა მატერიალური წახალისების საკითხი და დახლის მუშაკთა პროფესიის პრესტიჟის ამაღლებასთან დაკავშირებული სხვა პრობლემები. საჭიროა, აღინიშნა კრებაზე, დღეგრძელ ეზრუნავდეთ ვაჭრობის მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის. ბეჯითად ეუნერგავდეთ მათ მყიდველთა მომსახურების კულტურას.

სერიოზული ნაკლოვანებანი ვაჭრობაში, მათ შორის ხელმძღვანელ თანამდებობებზე ქალებისა და ახალგაზრდობის დაწინაურებისათვის მუშაობაში. სავაჭრო ორგანიზაციებსა და ვაჭრობის საწარმოებში ჯერ კიდევ ძალიან ცოტა ქალი მუშაობს, საჭიროა შეექმნათ მათი წარმატებული მუშაობის, კვალიფიკაციის ამაღლების ყველა პირობა.

კრებაზე მიღებულ გადაწყვეტილებაში ნათქვამია, რომ რესპუბლიკის სახელმწიფო ვაჭრობის მუშაკთა მრავალთასიანი კოლექტივი ძალ-ღონეს არ დაიშურებს, რათა წარმატებით გადაჭრას დიდი და პასუხსაგები ამოცანები, რომლებიც ვაჭრობის მუშაკებს დაუსახეს სკკპ XXIV ყრილობამ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის გადაწყვეტილებებმა.

კრების მონაწილეებმა მიიღეს სახელმწიფო ვაჭრობის მუშაკთა 1975 წლის სოციალისტური ვალდებულებანი და სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს მოძმე რესპუბლიკების — აზერბაიჯანისა და სომხეთის ვაჭრობის მუშაკები.

(საქინფორმი).

ინიციატივა ფრთებს შლის

დავიჩქაროთ სასურველი-სამეურნეო ტვირთზიდვა

საქართველოს საზღვაო სანაოსნოს გათუმისა და ფოთის ნავსადგურების კოლექტივები ერთსულოვნად იწონებენ და მხარს უჭერენ შავი ზღვის საზღვაო სანაოსნოს, ოდესა-კიშინიოვის რკინიგზისა და ოდესის საკვირთო საავტომობილო ტრანსპორტის საოლქო საწარმოო საბმართველოს კოლექტივების ინიციატივას — 1975 წლის გეგმისა და მეცხრე ხუთწლედის დავალებათა ვადაზე ადრე შესრულებისათვის იკისრონ ერთობლივი სოციალისტური ვალდებულებანი, რათა დაჩქარდეს დაბვირთვა-გადმოტვირთვისა და სანაწყობო სამუშაოები, გაუმჯობესდეს სახალხო მეურნეობის მომსახურება ტვირთზიდვაში.

„კომუნისტის“ დღევანდელ ნომერში ვბეჭდავთ ამ ინიციატივის განხილვაში მონაწილეობდა ფოთის ნავსადგურის ყველა უბანი და ბრიგადა. თვითეულმა მთვანმა იკისრა გაზრდილი სოციალისტური ვალდებულებანი. ცალკეული კოლექტივების, ინდივიდუალურ მომუშავეთა ისეთმა მაღალმა ენთუზიაზმმა, გაზრდილმა ნაკისრმა ვალდებულებებმა ნავსადგურის კოლექტივს საშუალება მისცა თავის ვალდებულებები მაქსიმალურად გაეიდიდებინა.

ამ ინიციატივის განხილვაში მონაწილეობდა ფოთის ნავსადგურის ყველა უბანი და ბრიგადა. თვითეულმა მთვანმა იკისრა გაზრდილი სოციალისტური ვალდებულებანი. ცალკეული კოლექტივების, ინდივიდუალურ მომუშავეთა ისეთმა მაღალმა ენთუზიაზმმა, გაზრდილმა ნაკისრმა ვალდებულებებმა ნავსადგურის კოლექტივს საშუალება მისცა თავის ვალდებულებები მაქსიმალურად გაეიდიდებინა.

დავთ მასალებს, თუ როგორ გამოეხმაურნენ გათუმისა და ფოთის ნავსადგურების კოლექტივები ამ პატრიოტულ თაოსნობას და კონკრეტულად რა ვალდებულებები იკისრეს.

რაციონალურად გამოვიყენოთ მოძრავი შემადგენლობა

50 ათასი ტონა ტვირთი; 15 პროცენტით შეამცირონ გემების დგომის დრო, ხოლო რკინიგზის ვაგონებისა — 10 პროცენტით; ტვირთების მთელი რაოდენობის 50 პროცენტი გაგზავნონ პირდაპირი გადატვირთვის გზით.

რით ფიქრობენ ნავსადგურის მუშაკები ამ ვალდებულების შესრულებას?

სიტყვას ვაძლევთ ნავსადგურის ნოვატორ მუშებს.

გ. გუგუშვილი — მეამწე: ავტოტრანსპორტელთა, რკინიგზელთა და ნავსადგურის მუშაკთა ერთობლივი, შეთანხმებული მუშაობა ცხადია, დიდ შედეგს მოიტანს. ვალდებულებების აღება და ერთმანეთისათვის გაუტეხელი პირობის მიცემა დაგვეხმარება დავაჩქაროთ სახალხო სამეურნეო ტვირთზიდვა, შევამცირთ ხარჯები, რომლებიც სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ბევრია ვაგონების, გემების მოცდენების გამო. ჩვენს ვალდებულებებში არის ერთი მუხლი, რომ ტვირთების მთელი რაოდენობის 50 პროცენტი გავგზავნოთ პირდაპირი გადატვირთის გზით. ეს მეტად მნიშვნელოვანი, მე ვიტყოდი, ძალიან პასუხსაგები ვალდებულებაა. თუ მის შესრულებას შევძლებთ, ჩვენ მნიშვნელოვნად შევამცირებთ დატვირთვა-გადმოტვირთვის ოპერაციების დროს და, რა თქმა უნდა, მკვეთრად ავამაღლებთ შრომის ნაყოფიერებას.

დიდი პასუხისმგებლობა გვეკისრება ჩვენ მეამწეებს, როგორ, ჯერ კიდევ ბევრია ვაგონების, გემების მოცდენების გამო. ჩვენს ვალდებულებებში არის ერთი მუხლი, რომ ტვირთების მთელი რაოდენობის 50 პროცენტი გავგზავნოთ პირდაპირი გადატვირთის გზით. ეს მეტად მნიშვნელოვანი, მე ვიტყოდი, ძალიან პასუხსაგები ვალდებულებაა. თუ მის შესრულებას შევძლებთ, ჩვენ მნიშვნელოვნად შევამცირებთ დატვირთვა-გადმოტვირთვის ოპერაციების დროს და, რა თქმა უნდა, მკვეთრად ავამაღლებთ შრომის ნაყოფიერებას.

დ. კულუა — მეამწე: ჩვენს ვალდებულებაში ჩაწერილია, რომ 15 პროცენტით შევამცეროთ გემების დგომის დრო, ხოლო 10 პროცენტით — რკინიგზის ვაგონებისა. ეს რეალური ციფრებია, მათი განაღდება შეიძლება, თუკი მაქსიმალურად გამოვიყენებთ ყველა რეზერვს. ჩვენი მუშაობის ერთ-ერთი ნაკლი ის არის, რომ გემების მოცდენა დიდია. შარშან, მაგალითად, გემების ისედაც დიდ მოცდენას, რკინიგზის ვაგონების უქონლობაც დამატება და გადმოტვირთული საქონელი კვირაობით ეწყო ნავსადგურში. ძალიან მნიშვნელოვანი შედეგი მოჰყვება ავტოტრანსპორტელთა, რკინიგზელთა და ნავსადგურის მუშაკთა შეჯიბრებას, თუ მას ნამდვილად საჯაროს, მასობრივს და ქმედითს გავხდით.

გ. ბერაია — მეამწე: ვგეგმავ გადამეტებით 50 ათასი ტონა ტვირთის დატვირთვას ჩვენ მხოლოდ მაშინ შევძლებთ, თუ ყველა რეზერვი შეთანხმებულად იმუშავებს, თუ თვითეული ჩვენთაგანი დაეუფლება მომიჯნავე პროფესიებს, თუ შეფერხება არ იქნება ვაგონების მოწოდების საქმეში.

ახალი ინიციატივა ჩვენი ნავსადგურის ყველა მუშაკმა მოიწონა. ჩვენ ნაყოფიერ მუშაობას მაშინ შევძლებთ თუ რკინიგზა კარგად მოგვემსახურება, ხოლო რკინიგზის მუშაობა ეფექტური მაშინ იქნება, თუ ჩვენ ნავსადგურელები გემებს დროულად დაცლით და ცარიელ ვაგონებს დიდხანს არ მოვაცდენთ. ერთი სიტყვით, ეს ახალი შეჯიბრება ახალ პერსპექტივებს სახავს შრომის ნაყოფიერების შემდგომი ამაღლების გზაზე.

რ. ჭელიძე.

მხარდაჭერა — ახალ თაოსნობას

ვრომის ორგანიზაციის ახალ პროგრესულ თაოსნობას გამოეხმაურნენ ბათუმის ნავსადგურის, რკინიგზის სადგურისა და № 4 საავტომობილო ტრანსპორტის კოლექტივები. ამასთან დაკავშირებით ბათუმის მეზღვაურთა კლუბში გაიმართა ამ სამი სატრანსპორტო ორგანიზაციის წარმომადგენელთა კრება.

— ყოველწლიურად ბათუმის სატვირთო ნავსადგურში ისობით ტანკერი და მშრალი ტვირთის გემი დგება რეიდზე, — თქვა ბათუმის ნავსადგურის უფროსმა ა. რატანმა, — მათს ვადამდე დამუშავებას, ყოველი საათის ეკონომიას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობისათვის. მაგრამ, რა დასამალავია, გვქონდა შეფერხებები, რის გამოც რკინიგზა ჯარიმის სახით მნიშვნელოვან თანხას გვახდევინებდა. ოდესელთა თაოსნობის შესანიშნავი იდეა და სატრანსპორტო ორგანიზაციების შეთანხმებული მუშაობა ითვალისწინებს გაერთიანებულ კომპლექსურ ღონისძიებებს, რომელთა გადმოღება და დანერგვა ხელს შეუწყობს ნავსადგურის გამართულ მუშაობას.

ნავსადგურის კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელმა გ. კახიძემ კრების მონაწილეებს გაუზიარა თავისი ბრიგადის შრომითი გამოცდილება: შრომის ნაყოფიერება და ეკონომიური ეფექტი შესამჩნევად გაიზრდება, — თქვა მან, — თუკი რკინიგზელები მხარში ამოგვიდგებიან და ხელიხელჩაკიდებული ერთად შევასრულებთ სახელმწიფო საქმეს.

კრებაზე სიტყვებით გამოვიდნენ საქართველოს სახლეთა სანაოსნოს უფროსი ა. კაკაბავა, ავტოკოლონის უფროსი ნ. თაგბერიძე, რკინიგზის სადგურის უფროსი ე. შარაბიძე და სხვები.

თვითეულმა ორგანიზაციამ თავის მხრივ მხარი დაუჭირა ოდესელთა თაოსნობას და იკისრა კონკრეტული ვალდებულებები.

ბათუმელმა მენავსადგურეებმა გადაწყვიტეს ხუთწლიანი გეგმა შეასრულონ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 58-ე წლისთავისათვის, გააუმჯობესონ ტვირთის დამუშავების მეთოდები, გეგმის გადამეტებით გადაკვირთონ 15 ათასი ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი, სხვა სატრანსპორტო ორგანიზაციებთან ერთად შეიმუშაონ გემების დამუშავების კომპლექსური მეთოდები.

მეორე დღეს ვეწვეთ უშუალოდ შრომის ფრონტს. სტვირთო ნავსადგურში გავეცანით რომან კობახიძის ბრიგადას. იგი მრავალი კარგი წამოწყების ინიციატორია. ბრიგადის ყოველმა წევრმა შეითვისა ორი-სამი პროფესია, ეს მათ საშუალებას აძლევს რაციონალურად გამოიყენონ მექანიზმები. ამის წყალობით ბრიგადამ თბომავალ „ვოლგობალტის“ გადმოტვირთვის დროს 160 პროცენტით შეასრულა ცვლის გეგმა, ხოლო „ნიკოლაევის“ გადმოტვირთვის დროს 150 პროცენტით. რ. კობახიძის ბრიგადა თებერვლის მეორე ნახევრის ანგარიშში მუშობს.

— ახლა ნავსადგურში შემოდის მშრალი ტვირთის ხომალდი „ფილიპე მახარაძე“, — გვითხრა ნავსადგურის უფროსმა ა. რატანმა, — ყველაფერი მზად არის, რკინიგზის შვერილზე ვაგონები დროულად ჩამოდგებიან, გემის მანევრირებასაც მაქსიმალურად ვიყენებთ. ოდესელთა თაოსნობას პრაქტიკაში, ვნერგავთ, დარწმუნებული ვარ სატრანსპორტო ორგანიზაციების შეთანხმებული მოქმედება მნიშვნელოვან ეკონომიურ ეფექტს მოგვცემს.

ბათუმის ნავსადგურში ახალი თაოსნობა ფრთებს ისხამს.

მ. გორგილაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

„ანასეული-1“: ახალი ჯიშის ჩაი

საბჭოთა კავშირის ჩაიხა და სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ჩაქვის ფილიალი ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ახალი ჯიშის ჩაის („ანასეული-1“) დასანერგავად. იგი უხვი მოსავლიანობით გამოირჩევა და გაცილებით მეტ სასარგებლო და ხარისხოვან ნივთიერებებს შეიცავს, ვიდრე რომელიმე სხვა ჯიშის ჩაი. ფილიალის სპეციალურ საკნებში ახლა ვეგეტაციურად ამრავლებენ ახალი ჯიშის ჩაის 22 ათასზე მეტ ნერგს, რომლებიც ქედის რაიონის, აგრეთვე წყალტუბოს რაიონისა და აფხაზეთის მეჩაიეობის მეურნეობებს გადაეცემა ჩაის პლანტაციათა სიმეჩხრის ლიკვიდაციისათვის. ახალი ჯიშის ჩაის ინტენსიურ გამრავლებას თვალს ადევნებს ფილიალის უფროსი მეცნიერი თანაშრომელი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი ს. ზერეგიერ ხანიკიძე და ბრიგადირი ბენიამინ ფოლენტი ათვალიერებენ ახალ ნერგებს.

ნ. ანასტასიევის ფოტო
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

„კომუნისტის“ კრიტიკული გამოსვლის შემდეგ

ფერმა და მისი „მგზველავები“

დამნაშავეებს — საკადრისი სასჯელი

„კომუნისტის“ 22 დეკემბრის ნომერში დაიბეჭდა კრიტიკული წერილი „ფერმა და მისი „მგზველავები“. მასში მხილებული იყო მცხეთის რაიონის ავჭალის მერძევეობის საბჭოთა მეურნეობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი და დანაშაულებრივი მოქმედება. ამ წერილთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეცხოველეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის მმართველმა ამხ. ა. მგელაძემ რედაქციას აცნობა, რომ მამხილებელ წერილში აღნიშნული ფაქტები ᲛᲝᲚᲘᲐᲜᲐᲓ ᲓᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲓᲐ.

მეღორეობის ფერმის ბრიგადირი ვ. მუჩაიძე, რომელიც კანონიერად იყო მოხსნილი და მცხეთის რაისაბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა განყოფილების მიერ არასწორად აღდგენილი სამუშაოზე, გათავისუფლებულია სამუშაოდან.

გაზეთში სავსებით სწორად იყო მინიშნებული იმაზე, რომ საბჭოთა მეურნეობის ფერმებში საზოგადოებრივ პირუტყვთან ერთად ინახავენ და მეურნეობის საკვებით კვებავენ კერძო პირუტყვს. ტრესტის სპეციალისტების მონაწილეობით საბჭოთა მეურნეობის დირექციამ კერძო პირუტყვი მთლიანად გამოიყვანა ფერმიდან და პირუტყვის პატრონებს დააკისრა გახარჯული საკვების ღირებულების გადახდა. საბჭოთა მეურნეობის მთავარი ზოოტექნიკოსი ი. ნაგრიშვილი გათავისუფლებულია სამუშაოდან.

მეურნეობაში საზოგადოებრივი პირუტყვის ნორმალურად გამოზამთრებისათვის გატარდა მთელი რიგი ღონისძიებანი. დამატებით გამოიყო კომბინირებული საკვები, შეკეთდა საძროხეები და ეზო, მისასვლელი გზა, ფერმაში მოეწყო წითელი კუთხე.

მეურნეობაში 1961 წლიდან არის „უდს-1“ მარკის საწველი აგრეგატი, რომელიც დღემდე არ არის გამოყენებული. ამჟამად მიღებულია ზომები აგრეგატის დამონტაჟებისათვის. ამ საქმის მოსაგვარებლად მეურნეობაში მიმაგრებულია მმართველის მოადგილე მექანიზაციის დარგში ამხ. ზ. აბზიანიძე.

ტრესტის ხელმძღვანელობას გადაწყვეტილი აქვს 1974 წლის შედეგების განხილვის დროს, გაწეული მუშობის ღირსად გაანალიზების გათვალისწინებით ანგარიში ჩააბარებინოს მეურნეობის მთავარ სპეციალისტებს და ამის მიხედვით გადაწყვიტოს მეურნეობის მთავარი აგრონომის ნ. კოტორაშვილის სამუშაოზე შემდგომი დაკოვების საკითხი.

ტრესტის ხელმძღვანელობამ ყველა საბჭოთა მეურნეობის დირექტორს მოსთხოვა სპეციალისტებისა და აქტივის მონაწილეობით გულდასმით განიხილონ გაზეთ „კომუნისტის“ გასული წლის 22 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნებული მამხილებელი წერილი სათაურით; „ფერმა და მისი „მგზველავები“ და დასახონ საჭირო ღონისძიებანი მსგავსი ფაქტებისა და მათი ხელშეწყობის პირობების აღმოსაფხვრელად.

ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲬᲔᲡᲠᲘᲒᲘᲡ ᲡᲐᲓᲐᲠᲐᲯᲝᲖᲔ

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს პარტიული აქტივის კრება

ᲙᲘᲠᲩᲘᲜᲘᲩᲘᲡ სახელობის კულტურის სახლში გაიმართა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს პარტიული აქტივის კრება, რომელიც მიეძღვნა 1974 წელს გაწეული მუშაობის შედეგებისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ორგანოების წინაშე დასახული ამოცანების განხილვას. კრებაზე მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრმა კ. ე. კეთილაძემ. მოხსენების განხილვაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სამმართველოების, განყოფილებებისა და სამსახურების ხელმძღვანელები, ავტონომიური რესპუბლიკების შინაგან საქმეთა მინისტრები, შინაგან საქმეთა საოლქო, საქალაქო და რაიონული განყოფილებების უფროსები, პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნები, პოლიტმუშაკები.

ორი დღის მანძილზე პარტიული აქტივის კრების მონაწილეთათვის ეწყობოდა სასემინარო და პრაქტიკული მეცადინეობა შინაგან საქმეთა ორგანოების საქმიანობაში შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვის, სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის შემდგომი სრულყოფისა და მისი ეფექტიანობის ამაღლების, პირადი შემადგენლობის იდეურ-პოლიტიკური აღზრდის გაძლიერების, დისციპლინისა და სოციალისტური კანონიერების განმტკიცების პრობლემებზე.

კრებაზე ბიუროს ანგარიში გააკეთა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ბიუროს თავმჯდომარე ი. ბერეგოვოი.

ᲙᲠᲔᲑᲐᲖᲔ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲓᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐᲜᲘ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲐᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲙᲠᲔᲑᲐ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓᲘ პარტიული ორგანიზაციების მდივნებისა და პოლიტმუშაკების სემინარზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგე შ. ვ. ყარყარაშვილი.

კრებაზე აღინიშნა, რომ შინაგან საქმეთა ორგანოებმა, რომლებიც განაგრძობენ მტკიცე ბრძოლას საქმისნებების, კომბინატორების, სახალხო დოვლათის დამტაცებლების, მექრთამეების წ

ამბები • ფაქტები



საკდესი და უცხოეთის პრესის სააგენტოები იტყობინებიან

მშვიდობა ყველას საქმეა

ამერიკა-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის კომიტეტის განცხადება

ვაშინგტონი, 1 თებერვალი. (საკდესი). ამერიკა-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის კომიტეტმა, რომელიც აერთიანებს ამერიკის საზოგადოებრივობის, სამეცნიერო და საქმიანი წრეების თვალსაჩინო წარმომადგენლებს, გამოაქვეყნა განცხადება, სადაც აღნიშნულია, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების ურთიერთობაში დაძაბულობის შენელებას მთელი მსოფლიოს მშვიდობის უზრუნველყოფისთვის.

უკანასკნელი წლების მანძილზე, ნათქვამია განცხადებაში, არ ყოფილა მოვლენები, რომლებიც უფრო დაიძაბებდნენ ამერიკელებს, ვიდრე ახალი ტენდენცია შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობაში. „ცივმა ომმა“ იდგილი დუთმო დაძაბულობის შენელებასთან დაკავშირებულ იმედებს. იმ პრობლემებზე, რომლებიც წარმოიშობა ორ დიდ სახელმწიფოს შორის, წარმოებს მოლაპარაკება. ამის შედეგად მნიშვნელოვნად შეცირდა ორი სახელმწიფოს შეტაკების საფრთხე.

მხოლოდ მაშინ, თუ ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობისათვის მნიშვნელოვან წილად დამახასიათებელი იქნება თანამშრომლობა და ურთიერთნდობა, აღნიშნავენ განცხადების ავტორები, შესაძლებელი გახდება განხორციელდეს გადაუდებელი ღონისძიებანი ატომური განიარაღებისათვის. ამ საკითხზე მოლაპარაკება შესაძლებელია მხოლოდ დაძაბულობის შენელების ატმოსფეროში. იგი შეუძლებელია მტრობის ატმოსფეროში.

მხოლოდ მაშინ, თუ დამყარდება ურთიერთგაგება და კონსულტაციები საბჭოთა კავშირსა და შეერთებულ შტატებს შორის, ომის საშიშროება, რომელიც ახლო აღმოსავლეთში არსებობს, შეიძლება დაეუქვემდებაროთ კონტროლს.

განცხადების ავტორები მხარს უჭერენ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ვაჭრობის განვითარებას და აღნიშნავენ, რომ ვაჭრობას შეუძლია მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ორი ქვეყნის ხალხთა კეთილდღეობის უზრუნველყოფაში და დაძაბულობის შენელების დადმნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია.

დიდი მნიშვნელობა აქვს, აღნიშნულია განცხადებაში, აგრეთვე ორი ქვეყნის კულტურული კავშირურთიერთობის შემდგომ გაფართოებას.

ურთიერთობის გაუმჯობესებას, ხაზს უსვამენ განცხადების ავტორები, დიდი უპირატესობანი მოსდევს და ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის პოლიტიკური და ეკონომიური სისტემების განსხვავების მიუხედავად, არ შეიძლება შევაჩეროთ დაძაბულობის შენელების განვითარება, ნათქვამია განცხადებაში. ჩვენ გვინდა ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ დაძაბულობის შენელება რომელიმე ერთი პოლიტიკური პარტიის საქმე კი არ არის, არამედ მას მხარს უჭერს ამერიკელთა უდიდესი უმრავლესობა.

განცხადებას ხელს აწერენ ამერიკის შეერთებულ შტატებში ისეთი ცნობილი მოღვაწენი, როგორიც არიან კომიტეტის თავმჯდომარე პროფესორი ფ. ნილი, პროფესორი ჯ. ჰელბრეიტი, მრწველი კენდალი, მეცნიერი ჯ. ვიზნერი, თვალსაჩინო დიპლომატები ჯ. კენანი და ე. რეიშაუერი, პროფკავშირული მოღვაწე ლ. ეუდკოვი და სხვები.

1975 — ქალთა საერთაშორისო წელი

გამართულია მრგების ორგანიზაციის მიერ 1975 წლის ქალთა საერთაშორისო წლად გამოცხადება მოწმობს ქალის როლის ზრდას სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროში.

ვგეჯდავთ ფოტომონტაჟს, რომელიც გამოქვეყნებული იყო ამერიკელ კომუნისტთა გაზეთ „დეილი უორლდში“.

„სპბერძნეთი აუკრძალეს ხომალდების შესვლა

ათენი, 31 იანვარი. (საკდესი). საბერძნეთის მთავრობამ გახული წლის 20 ივლისიდან აუკრძალა ამერიკის მეექვსე ფლოტის ხომალდებს ათენის უყურეთ.

ეს პარლამენტში განაცხადა საბერძნეთის ეროვნული თავდაცვის მინისტრმა ავეროფ-ტოსიცამ, როცა უპასუხა დეპუტატთა შესაბამის შეკითხვებზე. მინისტრმა თქვა, რომ ერთადერთი ადგილი, სადაც შესვლის ნება ჯერ კიდევ აქვთ მეექვსე ფლოტის ხომალდებს — ეს არის პირეოს მახლობლად მდებარე ელევსინის ყურე. ამ უფლებით ამერიკის ხომალდები სარგებლობენ საბერძნეთ-ამერიკის 1973 წლის იანვრის შეთანხმების საფუძველზე. მაგრამ ამჟამად მიმდინარეობს ამ შეთანხმების გადასინჯვა, ამაზე გაუსვა მინისტრმა.

ეროვნული თავდაცვის მინისტრმა აგრეთვე განაცხადა, რომ მთავრობა ელოდება იხილავს საბერძნეთის ტერიტორიაზე განლაგებული ნატოს ყველა ბაზის სტატუსს, ამასთან ხელმძღვანელობს ქვეყნის თავდაცვის ინტერესებით. მან თქვა, რომ ამიერიდან უცხოეთის ყველა საშხედრო ბაზას კონტროლს გაუწევს საბერძნეთის სახელმწიფო.

დეპუტატთა მიერ პარლამენტში შემოტანილი შეკითხვები დაკავშირებული იყო ამ კვირაში კორფუს კუნძულთან საბერძნეთის წყლებში იმ საეჭვადრო ნაღმოსნის ვიზიტთან, რომელიც შედის ამერიკის მეექვსე ფლოტში. კორფუს ხუთი ათასზე მეტმა მცხოვრებმა მიიღო მონაწილეობა საპროტესტო დემონსტრაციაში მათს კუნძულთან ამერიკის საბრძანო ხომალდის ყოფნის წინააღმდეგ. საზოგადოებრიობის ზეგავლენით ადგილობრივმა ხელისუფლებამ ამერიკელებს მოსთხოვეს რაც შეიძლება მალე დატოვონ საბერძნეთის წყლები და საეჭვადრო ნაღმოსანი იძულებული გახდა დასახულ ვადაზე ადრე წასულიყო აქედან.

ქრონიკა

ახალი ეტაპი

ლუანდა, 1 თებერვალი. (საკდესი). აფრიკაში პორტუგალიის სამფლობელოთა დეკოლონიზაციის პროცესში ახალი ეტაპი გახდა ანგოლის გარდამავალი მთავრობის შექმნა. მთავრობაში შევიდნენ სამ-სამი წარმომადგენელი ანგოლის განთავისუფლების სახალხო მოძრაობისაგან, ანგოლის განთავისუფლების ეროვნული ფრონტისაგან, ანგოლის სრული დამოუკიდებლობის ეროვნული კავშირისა და პორტუგალიისაგან. მთავრობას სათავეში უდგას მმართველი საბჭო, რომელშიც შედიან ლუბუ დუ ნასიმენტუ (ანგოლის განთავისუფლების სახალხო მოძრაობა), ჯონი ედუარდუ (ანგოლის განთავისუფლების ეროვნული ფრონტი) და ჟოზე ნ' დელე (ანგოლისა და სრული დამოუკიდებლობის ეროვნული კავშირი). პორტუგალიასა და სამ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას შორის წინათ ხელმოწერილი შეთანხმების შესაბამისად გარდამავალი კაბინეტი განახორციელებს მთელ რიგ ღონისძიებებს მომავალი დამოუკიდებელი ანგოლის სახელმწიფო ინსტიტუტების შესაქმნელად. მომდინარე წლის 11 ნოემბრამდე, როცა ანგოლას მიენიჭება სრული დამოუკიდებლობა, გაიმართება დამფუძნებელი კრების არჩევნები, რომელიც შემუშავებს ქვეყნის კონსტიტუციას.

ლუანდაში გარდამავალი მთავრობისათვის ძალაუფლების გადაცემის საზეიმო ცერემონიაზე საპატიო სტუმრებად იყვნენ აფრიკის მრავალი დამოუკიდებელ ქვეყნიდან ჩამოსული დელეგაციები, აგრეთვე მონაბიკის, სან-ტომესა და პრინსიპის გარდამავალ მთავრობათა წარმომადგენლები.

მთავრობის სახელით გამოსულმა ინფორმაციის მინისტრმა მანუელ მონტეირუმ (ანგოლის განთავისუფლების სახალხო მოძრაობა) ამ მოვლენას უწოდა დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯისეტი ანგოლის დამოუკიდებლობის ისტორიაში.

განვამტკიცოთ უშიშროების საფუძველი

ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის მეთაურის განცხადება

ჟენევა, 31 იანვარი. (საკდესი). სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკების განგრძობისათვის აქ ჩამოსულმა ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის მეთაურმა, განსაკუთრებულ დავალებათა ელჩმა ა. ჯონსონმა განაცხადა: „ვლადივოსტოკში მიღწეულმა შეთანხმებამ მოგვცა ფართო მითითებანი ჩვენი მუშაობისათვის. იგი იმდენად მკაფიო და კონკრეტულია, რომ, ჩემი აზრით, ძნელი არ იქნება მივანიჭოთ მას ოფიციალური შეთანხმების ფორმა, რომელსაც შეუძლია ხელი მოაწეროს ორივე მთავრობამ.

ეს ჩვენს ორ დელეგაციას ანიჭებს მკაფიო უფლებამოსილებას ამ შეთანხმების განსახორციელებლად. შეერთებული შტატების დელეგაციას განზრახული აქვს ყველაფერი იღონოს, რათა შეასრულოს ეს ამოცანა. მიზანი ის არის, რომ მივაღწიოთ გამალებული სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შემდგომ შეზღუდვას და ამრიგად განვამტკიცოთ მთელ მსოფლიოში უშიშროებისა და სტაბილურობის საფუძველი“.

საშიში ქსელი

ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ყოფილი აგენტის აღიარება

ნიუ-იორკი, 31 იანვარი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო ასრულებს რეპრესიების იარაღის როლს საერთაშორისო მასშტაბით. ასე დაახასიათა „მოსასხამისა და ხანჯლის რაინდების“ ბინძური საქმიანობა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს უოფილმა აგენტმა ფ. ეჯიმ ენ-ბი-სის სატელევიზიო კომპანიის პროგრამით გამოსვლისას.

ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს საიდუმლო ოპერაციათა გეოგრაფია, განაცხადა ეჯიმ, მოიცავს ლათინურ ამერიკას, ირანს, ინდონეზიასა და სხვა ქვეყნებს, მაგრამ ყველგან ამერიკის დაზვერვა, როგორც მან თქვა, ისახავს ერთ მიზანს „სხვის საშინაო საქმეებში ჩარევასა და ამერიკის ბატონობის დამყარებას“. ლათინური ამერიკის მთელ რიგ ქვეყნებში ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო თანამშრომლობს ადგილობრივ რეჟიმებთან პროგრესული ძალების ჩახშობაში. ეჯიმ განაცხადა, რომ თავის დროს ამერიკის აგენტებმა ურუგვაის ხელისუფლებს გადასცეს შეთითხნილი მასალები ერთ-ერთ პროფკავშირულ ხელმძღვანელზე. რამდენიმე დღის შემდეგ, თქვა მან, როცა შინაგანი უშიშროების სამმართველოს შენობაში ვიყავი, გავიგონე ამ კაცის ყვირილი, რომელიც დაუპატიმრებინათ და აწამებდნენ.

ეჯიმ თქვა, რომ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტები ამოწმებდნენ ვენესუელაში მოქმედი ამერიკის „კროელ პეტროლეუმის“ ნავთობის კომპანიის თანამშრომელთა „საიმედოობას“.

ინტერვიუს დროს ეჯიმ ამერიკის შეერთებული შტატების პროფკავშირთა მემარცხენე ხელმძღვანელობის, და კერძოდ გაერთიანება ამერიკის შრომის ფედერაცია-საწარმოო პროფკავშირთა კონგრესის თავმჯდომარეს მინს ბრალად დასდო მჭიდრო თანამშრომლობა ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსთან. მან თქვა, რომ მინის ეკავა ეგრეთწოდებული ამერიკის თავისუფალ პროფკავშირთა განვითარების ინსტიტუტის მეთაურის პოსტი, რომლის ნიღბით მოქმედებდნენ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტები. ინსტიტუტს, რომლის შტაბ-ბინა ვაშინგტონში იყო, ჰქონდა ბევრი განყოფილება ლათინური ამერიკის ქვეყნებში.

ეჯიმ საეჭვოდ მიიჩნია იმ სპეციალური კომისიის მიერ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს საქმიანობის გამოძიების შესაძლო შედეგები, რომელიც ახლანდ შექმნა მთავრობამ საზოგადოებრიობის ზეგავლენით.

კვიპროსი

ეროვნული საბჭოს სხდომა

ნიკოზია, 1 თებერვალი. (საკდესი). აქ კვიპროსის პრეზიდენტის არქიეპისკოპოს მაკარიოსის თავმჯდომარეობით გაიმართა ქვეყნის წინაშე მდგომი ყველაზე დიდმნიშვნელოვანი პრობლემების განსახილველად მიმდინარე წლის იანვარში შექმნილი საკონსულტაციო ორგანოს — ეროვნული საბჭოს სხდომა.

სხდომამ განიხილა კუნძულზე შექმნილი მდგომარეობა იმასთან დაკავშირებით, რომ არ არის მიღწეული საგრძნობი შეხვედრები ბერძენთა და თურქთა თემების წარმომადგენლების კვიპროსის სამინო მოლაპარაკებაზე. ეს ნათქვამია მთავრობის ინფორმაციის ბიუროს განცხადებაში.

როგორც კვიპროსის რადიო იუწყება, გუშინ დდის მეორე ნახევარში თურქეთის ჯარებსა და ეროვნულ გვარდიას შორის მოხდა ნახევარი საათის სროლა ლეფკის სამხრეთ-აღმოსავლეთით სკურიოტისის დასახლებული პუნქტის რაიონში.

ლიბანი

ისრაელის პროვოკაციები

ბეირუთი, 1 თებერვალი. (საკდესი). გუშინ ისრაელის არტილერიამ ცეცხლი დაუშინა ლიბანის სამხრეთ ქალაქ ბინტ-ჯბეილის რაიონში განლაგებულ სოფელ აინატას, რის გამოც მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი მიაყენა მას. იმავე დღეს ისრაელის არტილერიის მიერ დანგრეულ სოფელ კფარ-შუბის რაიონში ორი ლიბანელი დაიღუპა ისრაელების მიერ დატვებულ ნაღმის აფეთქების შედეგად.

ამხილეს შანტაჟი

საკდესის კომენტარი

ამ კვირაში ალჟირის დედაქალაქში გაიმართა ხავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაციის რიგგარეშე კონფერენცია. მან ცხადყო, რომ იზრდება ამ ქვეყნების სოლიდარობა დიქტატისა და შანტაჟის იმ პოლიტიკის წინააღმდეგ მათ საერთო ბრძოლაში, რომლის განხორციელებასაც ცდილობენ დასავლეთის სახელმწიფოები და მათს ზურგსუკან მდგომი მძლავრი საერთაშორისო ნავთობის მონოპოლიები. ბოლო ხანს სახელმწიფოები და უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებული შტატები, ცდილობდნენ უთანხმოება ჩამოეგდოთ ნავთობმომპოვებელ ქვეყნებთან, გაეთიშთ მათი რიგები და დაეპირისპირებინათ მათთვის ნავთობის მომხმარებელი დასავლეთის სახელმწიფოების ბლოკი, რომელსაც ძალუძს ნავთობის ექსპორტიორ განვითარებად ქვეყნებს უკარნახოს თავისი ე. ი. იმპერიალისტური, ნეოკოლონიალისტური პირობები. სწორედ ამ თვალსაზრისით უნდა განვიხილოთ ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელი მოღვაწეებისა და პრესის არა მარტო საბჭოური მუქარა არაბეთის ქვეყნების მიმართ, არამედ ისეთი აქციებიც, როგორიცაა საერთაშორისო ენერგეტიკული საკაპიტალო ნაკადის განვიდარებული კაპიტალისტური სახელმწიფოების ბლოკის შეკოწიწება, რათა გავლენა მოახდინონ ნავთობმომპოვებელ ქვეყნებზე.

ალჟირის კონფერენციის მონაწილეებმა გადაჭრით დაგმეს ეს საშიში მოქმედება. ბევრი წინა თათბირისაგან განსხვავებით, რომლებზეც ძირითადად იხილავდნენ ეკონომიურ პრობლემებს (ნავთობის ფასი, მისი მოპოვების დაგეგმვა და სხვა), ამჯერად ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაციის 13 წევრი ქვეყნის საგარეო საქმეთა, ფინანსთა და ნავთობის მინისტრების ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა პოლიტიკური საკითხები. მათ კატეგორიულად უარყვეს დასავლეთის პროპაგანდის ცდები საქმე იმგვარად წარმოსახონ თითქოს დასავლეთის ეკონომიკის კრიზისული მდგომარეობის მიზეზი იყოს ნავთობმომპოვებელი ქვეყნების პოლიტიკა, რომლებიც თავიანთ ინტერესებს იცავენ დასავლეთის კარტელების წინააღმდეგ ბრძოლაში, და არა განუკურნებელი სენი, რომელიც დამახასიათებელია თვით კაპიტალიზმის სისტემისათვის.

კონფერენციის მონაწილეები შეეხნენ ნავთობმომპოვებელი ქვეყნების მიმართ მუქარას, რომელიც ბოლო დროს გაისმოდა დასავლეთში. მათ განაცხადეს, რომ ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაციის რომელიმე წევრი ქვეყნისადმი აგრესიის შემთხვევაში ისინი კვლავ მიმართავენ ისეთ იარაღს, როგორიცაა ნავთობის ემბარგო.

ამასთან მათ ხაზი გაუსვეს თავიანთი პოზიციის კონსტრუქციულობას, აღნიშნეს, რომ საჭიროა ნედლეულის მწარმოებლებისა და მომხმარებლების ერთობლივი მეცადინეობით გამოძებნონ სამართლიან საფუძველზე ურთიერთმისაღები საერთაშორისო თანამშრომლობის გზები. მათ მხარი დაუჭირეს საფრანგეთის ინიციატივას, რომელსაც საჭიროდ მიაჩნია, რომ ამ მიზნით მოეწყოს საერთაშორისო კონფერენცია.

კარიკატურისტის კომენტარი

ნავთობის მონოპოლიების ამაო ცდა.

ი. ჟოჟიაშვილის ნახატი.

ვინ მართავს ჩინეთს?

ჯრეები, საიდანაც მოდის ჩინეთის ოფიციალური პროპაგანდის ფრაზეოლოგიისაგან თავისუფალი ინფორმაცია ჩინეთში არსებული ნამდვილი ვითარების შესახებ, სხვადასხვაგვარია. ჩვეულებრივ ეს არხები ჰონკონგზე გადის, სადაც ინფორმაცია ანალიზდება, ერთმანეთს უპირისპირებენ სხვადასხვა ფაქტებსა და ათასგვარ ხმებს, კონტინენტიდან რომ მოდის.

უკანასკნელ ხანებში, — იუწყება, მაგალითად, ყოველკვირეული „ტაიმი“ — 81 წლის თავმჯდომარის მაო ძე-დუნის ადგილსაქმაოფელი საიდუმლოების ბურუსით არის მოცული. უკანასკნელი სამი თვის მანძილზე იგი პეკინის ფარგლებს გარეთ იმყოფებოდა. ზოგჯერ ხვდებოდა უცხოეთის წარმომადგენლებს — მაგალითად, დანიის პრემიერ-მინისტრს პოლ პარტლინგს და გაბონის პოზიდენტს ამარ ბონგოს. ამავე დროს, როგორც ამბობენ, თავმჯდომარე მაოს ცოლმა ძიან ცინმა ხელთ იგდო ხელისუფლების ღერდები, რითაც შეზღუდა პრემიერ-მინისტრ ჯოუ ენ-ლაის რწმუნებები. იგი საავადმყოფოში წევს გულის სეროიზული დაავადებით. ჯოუ ენ-ლაი განაგრძობს შეხვედრებს უცხოელ წარმომადგენლებთან, მაგრამ მისი მოვალეობის დიდ ნაწილს მისი მოადგილეები ასრულებენ.

უწევს თუ არა კონტროლს მაო ძე-დუნი ცხოვრების ყველა სფეროს? დაკარგა თუ არა ჯოუ ენ-ლაიმ თავის ერთ დროს ხელშეუვალი ძალაუფლება? ხომ არ ჩაიფიქრა ძიან ცინმა ძალაუფლების ხელში ჩაგდება სცენიდან მაოს წასვლის შემდეგ? ამგვარ ამ კითხვებზე გარკვეული პასუხის გაცემა ჯერჯერობით ძნელია. მაგრამ მრავალი ფაქტი მოწმობს ჩინეთში განხეთქილებისა და ფრაქციულობის გაღრმავებას. თავის უკანასკნელ ნომერში ჩინეთის კომპარტიის თეორიული ორგანო ჟურნალი „ხუნცი“ თავისთვის ჩვეულო გულახდილობით აღიარებს პარტიის რიგებში სერიოზული უკმაყოფილების ფაქტს. ჟურნალის ერთ-ერთ სტატიაში ლაპარაკია „ზოგ ადგილას უდისციპლინობისა და ანარქიის შესახებ“ და იმის შესახებაც, რომ „პარტიის წევრთა გარკვეული რაოდენობა ცდილობს გენერალური ხაზისაგან „დამოუკიდებლობის“ მოპოვებას“. ჩინეთის ზოგიერთი პროვინციული რადიოსადგური რამდენიმე კვირის მანძილზე გაჩყვიროდა „რევოლუციური ერთიანობის“ აუცილებლობას (ჩინეთში ხომ ის, რისთვისაც მოუწოდებენ. სინამდვილეში ჯერჯერობით არ არსებობს).

ჩინეთის განსაკუთრებით მწვავე პრობლემაა შეუნელებელი ბრძოლა მაოისტურ პარტიასა და რევოლუციურ არმიას შორის. შარშანდელი წლის აგვისტოდან ჩინეთის პრესა დაეთხებით იმეორებს მაო ძე-დუნის ცნობილ ციტატს იმის შესახებ, რომ „პარტია უნდა მართავდეს თოფებს“ (რაც იმის ნიშანია, რომ სახელმწიფოში სწორედ პირიქით ხდება). სულ ახლახან პრესაში გამოითქვა აშკარა შეშფოთება იმის გამო, რომ არმიას უზომოდ დიდი ძალაუფლება აქვს. „სახალხო განმათავისუფლებელი არმია უნდა ემორჩილებოდეს პარტიის ცენტრალიზებულ ხელისუფლებას“ — ნათქვამია გაზეთ „ჟენმინ ჟიბაოს“ ერთ-ერთ მოწინავე წერილში, — „ჩვენ არასგზით არ უნდა დავუშვათ, რომ არმია იქცეს ინსტრუმენტად კარიერისტთა ხელში“.

ცხადია, სწორედ ამ მიზნის ისახავდა, როცა პარტიის ხელმძღვანელობამ ყველა ღონე იხმარა სამოქალაქო მილიციის შექმნისათვის, რომელიც, როგორც ეროვნული პოლიციური ძალა, უნდა დაუპირისპირდეს არმიას. ეს აგრძნობინეს კიდეც სამხედრო პირთა შანხაიში, როცა მილიციამ ადგილობრივი ხელმძღვანელობის წინაშე მოაწყო თავისი მზადყოფნის დემონსტრაცია, სადაც მიიწვიეს სახალხო - განმათავისუფლებელი არმიის შანხაის გარნიზონის უფროსი. არმიის ბევრმა მეთაურმა უარი თქვა დასწრებოდა კრებას, რომელიც პეკინის ხელმძღვანელობამ მოიწვია და ამით გამოხატა თავის წყენა ამ ფაქტის გამო.

რატომ ეურჩებიან პარტიულ ხელისუფლებას კაცრის სამხედრო მუშაკები?

ჟურნალ „ტაიმის“ აზრით, ერთი მხრივ, არმია ცდილობს თავიდან აიცილოს იმ დიდი ძალაუფლების შესუსტება, რომელიც მას ჰქონდა პროვინციებში 1969 წლის „კულტურული რევოლუციის შემდეგ, მეორე მხრივ, სამხედრობები, როგორც ჩანს, გრძნობენ, რომ მაო ძე-დუნის გუთავებელ მემარცხენულ „ექსპერიმენტს“ შეუძლია შეაფერხოს და უკანაც კი დასწიოს ქვეყნის განვითარება. ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საიდუმლო ცირკულარი, რომელიც ჩინეთში შარშან ზაფხულში გავრცელეს, მოწმობს ქვეყნის ძირითად სამრეწველო რაიონებში წარმოების დაქვეითებას, აგრეთვე ხალხის მზარდ უმაყოფილებას, რაც უკანასკნელი მაოისტური კამპანიის (კონფუციისა და ყოფილი თავდაცვის მინისტრის ლინ ბიაოს კრიტიკის) შედეგია.

ჩინეთის მმართველობაში შექმნილ სიძნელეებს ის ფაქტიც მოწმობს, რომ ჩინეთის შეიარაღებული ძალების მეთაური ამიერიდან თვით თავმჯდომარე მაო ძე-დუნი იქნება.

კომუნიზმისათვის თავდადებული მებრძოლი

მ. ვ. ფრუნზეს დაბადების 90 წლისთავი

შესრულდა 90 წელი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწის, წითელი არმიის ერთ-ერთი ორგანიზატორის, პროფესიონალი რევოლუციონერის, საოქალაქო ომის გმირისა და კომუნიზმისათვის შეუდრეკელი მებრძოლის მიხეილ ვასილის-ძე ფრუნზეს დაბადებიდან.

როგორია მისი ცხოვრებისა და ბრძოლის სახელოვანი გზა?

მ. ფრუნზე დაიბადა 1885 წლის 2 თებერვალს პიშპეკში. აქვე მიიღო პირველდაწყებითი განათლება. 1904 წელს წარჩინებით დამთავრა გიმნაზია და ჩაირიცხულ იქნა პეტერბურგის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. 1904 წელს მ. ფრუნზე ბოლშევიკური პარტიის რიგებში შედგა და მთელ თავის სიცოცხლეს განუყოფლად უკავშირებს ჩაგვრისა და ექსპლოატაციისაგან მშრომელთა განთავისუფლების საქმეს.

მ. ფრუნზე რაზმავს ქ. შუის ფიქრებს. აქ წარმატებით ჩაიარა მუშათა გაფიცვებმა. მის მიერ გაწვრთნილმა რაზმებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს მოსკოვის 1905 წლის დეკემბრის შეიარაღებულ აჯანყებაში. მ. ფრუნზე სხვა ბოლშევიკებთან ერთად სათავეში ჩაუდგა მუშათა მოძრაობას. იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა როგორც დელეგატი რსდმ პარტიის IV ყრილობის მუშაობაში.

1907 წელს იგი დაიპატიმრეს. სასამართლომ მას მიუსაჯა 9 წლით პატიმრობა, რაც შემდეგ კატორღით შეუცვალეს. აქაც არ შეუწყვეტია რევოლუციური მუშაობა. მან იერუტსკში შექმნა სამხედრო საქმის წრე გადასახლებულთათვის (ე. წ. „სამხედრო სკოლა“).

1915 წელს იგი საპყრობილიდან გაიქცა და ვასილენკოს გვარით ცხოვრობდა ბელორუსიაში, სადაც გაეხალა რევოლუციური მუშაობა.

მ. ფრუნზე სხვა ბოლშევიკებთან ერთად მტკიცედ იცავდა იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევას. ლენინურ ლოზუნგს და შეურიგებელ ბრძოლას ეწეოდა ლენკენდატორების, ოტზოვისტებისა და ტროცკისტების წინააღმდეგ. 1916 წელს პარტიის დავალებით მ. ფრუნზე მოქმედ არმიაში იგზავნება და ხელმძღვანელობს არალეგალურ ბოლშევიკურ ორგანიზაციას. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ მ. ფრუნზეს სხვა მებრძოლთა რევოლუციონერებთან ერთად სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა დროებითი მთავრობის პოლიტიკას.

1917 წლის ივლისის დამლევს პეტროგრადში შეიკრიბა პარტიის VI ყრილობა. ყრილობაზე ფრუნზემ გადაჭრით და მხურვალედ დაუჭირა მხარი გ. კ. ორჯონიკიძეს იმის თაობაზე, რომ ვ. ი. ლენინი არ გამოცხადებულიყო დროებითი მთავრობის სასამართლოში. სამოქალაქო ომისა და ინტერვენციის წლებში იგი გახდა წითელი არმიის გამოჩენილი სარდალი, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა წითელი არმიის შექმნაში, მას განმტკიცებაში.

1919 წლის გაზაფხულზე. მ. ფრუნზეს ხელმძღვანელობით წითლებმა გაანადგურეს კოლჩაკელები ეოლგის მხარეში. როგორც ცნობილია, 1920 წლის ივლისში პარტია უდიდეს ყურადღებას აქცევდა ყირიმის ფრონტს, და აი შეიქმნა სამხრეთის ფრონტი. ფრონტის სარდლად დაინიშნა მ. ფრუნზე.

ოქტომბრის დამდეგს ფრუნზეელები, კახოვკის პლაცდარმზე დაყრდნობით, გადავიდნენ კონტრშეტევაზე. დაძაბული ბრძოლების მსვლელობაში, გაქლტილ იქნა ვრანგელის არმია, ნაწილმა კი მოახერხა ყირიმისაკენ უკან დახევა. მაშინ მ. ფრუნზემ გადაწყვიტა მტრის ზურგში დარტყმა მოეხდინა სივაშზე გადასვლით. 11 ნოემბერს, სისხლისმღვრელი ბრძოლების შემდეგ ფრუნზელებმა განდევნეს თეორები.

12 ნოემბერს ფრუნზემ უდიდესი ლენინს: **„ვადასტურებ უდიდეს სიმამაცეს, რაც გამოიჩინა გმირმა ქვეითმა ჯარმა სივაშისა და პერეკოპის იერიშებში, როცა გამალებით დევნიდა მტერს...“**

1920 წლის 16 სექტემბერს ფრუნზემ გამანადგურებელი დარტყმები მიაყენა ვრანგელის ჯარებს. 1920 წლის 17 ნოემბერს იგი მოახსენებდა ლენინს: **„დღეს ჩვენმა ცხენოსანმა ჯარმა დაიკავა ქერჩი, სამხრეთის ფრონტი ლიკვიდირებულია“.**

მ. ფრუნზემ დაწერა მთელი რიგი წიგნები და ბროშურები სამხედრო მეცნიერებისა და სტრატეგიის საკითხებზე. კოლჩაკის, ვრანგელის, დენიკინის განადგურების ორგანიზატორი მ. ფრუნზე იყო სსრ კავშირის სამხედრო-რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარე და სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარი, რკპ (ბ) X ყრილობიდან პოლიტბიუროს წევრი.

მიხეილ ფრუნზე ჩვენი დროის ერთ-ერთი ყველაზე სპეტაკი და უშიშარი, რევოლუციონერია, კომუნიზმისათვის თავდადებული მებრძოლი. ამიტომ მის ნათელ ხსოვნას მუდამ წმიდად ინახავს საბჭოთა ხალხი.

ნ. ჩხაიძე.

წარმატებით მიმდინარეობს მზადება სტარტისათვის

ამერიკის შეერთებულ შტატებში „სოიუზ-აპოლონის“ პროგრამის მონაწილე საბჭოთა კოსმონავტების ჯგუფის მომავალი გამგზავრების გამო

— წარმატებით მიმდინარეობს მზადება კოსმოსში საბჭოთა კავშირ-ამერიკის ერთობლივი ექსპერიმენტისათვის, — ასე დაიწყო საუბარი საკდესის მომამზადებელთან „სოიუზ“ ხომალდის პირველი ეკიპაჟის მეთაურმა, სსრ კავშირის კოსმონავტმა მფრინავმა ა. ა. ლეონოვმა.

— ახლა ჩვენ ვემზადებით ამერიკის შეერთებულ შტატებში მეოთხე მოგზაურობისათვის, რომელსაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ. იგი წლევანდელი წლის ივლისისათვის გათვალისწინებული კოსმოსში ერთობლივი მუშაობისათვის ჩვენი მზადყოფნის თავისებური გამოცდა იქნება. მანამდე, როგორც ცნობილია, ექვს თვეზე ნაკლები დარჩა. ეს ბევრიც არის და ცოტაც. დარჩენილ დროში ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისათვის, რომ კოსმოსში საერთაშორისო შეხვედრამ რაც შეიძლება ნაყოფიერად ჩაიაროს. ჩვენ ყველა საფუძველი გვაქვს დარწმუნებული ვიყოთ ამაში. გადაჭრილია ყველა პრობლემა, რომლებიც კოსმოსურ ტექნიკას ეხება, გრძელდება ჩვენი ვარჯიში ამერიკელ კოლეგებთან ერთად. ერთმეორის კმაყოფილი ვარო.

— როგორია ამერიკის შეერთებულ შტატებში მომავალი მოგზაურობის მიზნები?

— ჩვენი ჯგუფი, რომელსაც საბჭოთა კოსმონავტების მოზადების ხელმძღვანელი, ავიაციის გენერალ-მაიორი ვლადიმერ შატალოვი მეთაურობს, ჯერ კანაველის კონცხზე შეჩერდება, შემდეგ ჰიუსტონში — პილოტირებული ფრენის ცენტრში იმუშავებს. მოგზაურობა სამ კვირას გაგრძელდება. ამ ხნის მანძილზე მე და ვალერი კუბასოვი ჩვენს ამერიკელ კოლეგებთან ტომას სტაფორდთან, ვენს ბრანდტთან, დონალდ სლეიტონთან და სხვებთან ერთად დავხვეწავთ ხომალდ „აპოლონით“ მომავალი ფრენის პროგრამას, კერძოდ, ხომალდიდან ხომალდში გადასვლის ტექნიკას, ვაკემორებთ მეცნიერულ-ტექნიკურ ექსპერიმენტებს. დიდ ყურადღებას დავუთმობთ ფრენის ეგრეთწოდებულ გაუთვალისწინებელ სიტუაციებს. კიდევ ერთხელ გადავავლებთ თვალს მთელ ტექნიკურ დოკუმენტაციას. სხვათა შორის, გადავწყვიტეთ მუშაობის დროს ჩვენ მხოლოდ ინგლისურ ენაზე ვილაპ

ᲐᲛᲐᲦᲘ ᲬᲘᲜᲐᲜᲓᲠᲘ ᲬᲘᲜᲐᲜᲓᲘ

XXX

ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲙᲕᲓᲐᲠᲘ, ᲕᲘᲜᲪ ᲛᲝᲙᲕᲓᲔᲡ ᲓᲐ ᲮᲐᲚᲮᲡ ᲨᲔᲡᲬᲘᲠᲝᲡ ᲓᲦᲔᲜᲘᲐ.

ᲘᲚᲘᲐ.

ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ

ᲔᲢᲘᲣᲓᲘ

ᲪᲘᲪᲮᲚᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲪᲐᲕᲐᲓ ᲓᲐᲪᲔᲛᲣᲚᲗᲐ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲛᲘᲜᲓᲐ ᲛᲝᲒᲐᲒᲝᲜᲝᲗ:

— ᲕᲐᲘ, ᲜᲐᲜᲘᲐ ᲯᲐᲜ!... — ᲜᲐᲚᲑᲐᲜᲓᲘᲐᲜᲘᲜᲐ;

— ᲛᲐ, ᲛᲐᲛᲐ!... — ᲘᲕᲐᲜᲘᲜᲐ;

— Მ, ᲛᲐᲢᲝᲣᲨᲙᲘ!.. — ᲡᲔᲠᲓᲘᲣᲙᲘᲜᲐ;

— ᲐᲜᲐ ᲯᲐᲜ!... — ᲢᲐᲒᲘᲪᲕᲘᲜᲐ;

— ᲛᲝᲛᲝᲠ ᲯᲝᲜᲗ!... — ᲖᲐᲮᲐᲠᲝᲕᲘᲜᲐ.

ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲔᲚᲘ ᲒᲘᲠᲙᲘᲫᲔ, ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲠᲝᲛ ᲨᲔᲪᲓᲐ, ᲛᲘᲡᲘᲡ „ᲕᲐᲘ ᲓᲔᲓᲝᲕᲜᲝ“ ᲓᲐᲘᲪᲐ ᲩᲘᲛᲘ ᲡᲣᲚᲘ. ᲛᲝᲛᲓᲔᲕᲜᲔᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲡᲣᲚᲗᲛᲝᲛᲠᲫᲐᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲦᲐᲠᲪ ᲓᲔᲓᲐᲡ ᲣᲗᲛᲝᲓᲐ, ᲐᲦᲐᲠᲪ ᲡᲮᲕᲐ ᲛᲨᲕᲔᲚᲔᲚᲘ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲡ ᲓᲐᲦᲐᲡᲐᲠᲩᲔᲜᲐᲓ.

— ᲒᲐ-ᲛᲐ-ᲑᲝᲚᲝᲑᲘᲜᲔᲑᲘ!

ᲛᲔ ᲐᲦᲕᲣᲡᲠᲣᲚᲘ.

ᲓᲐ, ᲕᲘᲕᲘᲥᲠᲝᲑ, ᲛᲐᲜ ᲐᲛᲘᲗ ᲩᲐᲘᲡᲣᲜᲗᲥᲐ ᲓᲔᲓᲘᲡ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲦᲐᲠ ᲐᲛᲝᲮᲡᲜᲣᲗᲥᲐ — ᲞᲘᲠᲘᲓᲐᲜ ᲑᲝᲚᲝ ᲐᲠ ᲐᲛᲝᲑᲠᲣᲜᲔᲑᲘᲐ.

ᲐᲛ ᲢᲐᲠᲘᲥᲘᲡᲗᲕᲘᲡ „ᲕᲐᲘ, ᲓᲔᲓᲐᲡ“ ᲐᲠᲐᲤᲘᲪᲘᲣᲠᲘ ᲬᲐᲠᲬᲔᲠᲐ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲛᲘᲜᲓᲐ ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲗᲮᲠᲝᲗᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲪ ᲓᲐᲛᲔᲠᲬᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲐᲜᲘ ᲠᲔᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲡᲐᲠᲔᲑᲝᲑᲓᲐ. ᲛᲐᲗᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲐᲒᲘᲐᲓᲐ ᲚᲔᲢᲜᲐᲜᲢᲘ ᲨᲝᲗᲐ ᲩᲐᲑᲘᲫᲔ ᲐᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲔᲠᲒᲔᲚᲘ ᲛᲔᲠᲒᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲪᲣᲠ ᲛᲝᲛᲠᲔᲒᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲐᲪᲮᲓᲐ ᲡᲐᲛᲐᲒᲘᲡᲝ ᲛᲝᲛᲠᲗᲘᲡ ᲛᲔᲠᲒᲔᲚᲘ ᲛᲔᲠᲒᲔᲚᲘ ᲛᲝᲛᲐᲪᲣᲠᲘ ᲛᲝᲛᲠᲔᲒᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲐᲪᲮᲓᲐ ᲡᲐᲛᲐᲒᲘᲡᲝ ᲛᲝᲛᲠᲗᲘᲡ ᲛᲔᲠᲒᲔᲚᲘ ᲛᲔᲠᲒᲔᲚᲘ ᲛᲝᲛᲐᲪᲣᲠᲘ ᲛᲝᲛᲠᲔᲒᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲐᲪᲮᲓᲐ ᲡᲐᲛᲐᲒᲘᲡᲝ ᲛᲝᲛᲠᲗᲘᲡ ᲛᲔᲠᲒᲔᲚᲘ

1943

ᲛᲐᲛᲐᲪᲘ ᲚᲔᲘᲢᲔᲜᲐᲜᲢᲘ ᲨᲝᲗᲐ ᲩᲐᲑᲘᲫᲔ

1975 — *ᲬᲐᲠᲬᲣᲚᲘᲡ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ*

ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲐᲛ ᲡᲐᲗᲐᲣᲠᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲓᲐ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ 1943 ᲬᲚᲘᲡ 24 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲡ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲬᲐᲠᲘᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲙᲘᲗᲮᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲣᲗᲮᲠᲝᲜᲐᲓᲐ ᲡᲐᲛᲐᲛᲣᲚᲝ ᲝᲛᲨᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲯᲐᲕᲐᲪᲘᲡ ᲛᲐᲛᲐᲪᲘᲡ ᲛᲝᲛᲥᲕᲓᲠᲔᲑᲐᲡ.

„ᲩᲕᲔᲜᲘᲡ ᲜᲐᲬᲘᲚᲨᲘ, — ᲘᲬᲧᲝᲜᲘᲜᲔᲑᲝᲓᲐ ᲛᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“, — ᲗᲐᲕᲘᲡ ᲘᲡᲐᲮᲚᲔᲚᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲯᲐᲚᲘᲡᲘ ᲛᲐᲛᲐᲪᲘᲡ ᲚᲔᲢᲜᲐᲜᲢᲘ ᲨᲝᲗᲐ ᲩᲐᲑᲘᲫᲔ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ-ᲛᲔ ᲛᲔᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲯᲐᲕᲐᲪᲘᲡ ᲛᲐᲛᲐᲪᲘᲡ ᲛᲝᲛᲥᲕᲓᲠᲔᲑᲐᲡ.

ᲛᲘᲡᲘᲡᲐ ᲐᲡᲐᲪᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲣᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲛᲚᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲒᲐᲜᲘᲡᲜᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ ᲚᲔᲢᲜᲐᲜᲢᲘ ᲨᲝᲗᲐ ᲩᲐᲑᲘᲫᲔ ᲛᲝᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲐ ᲡᲐᲛᲐᲛᲣᲚᲝ ᲝᲛᲨᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲯᲐᲕᲐᲪᲘᲡ ᲛᲐᲛᲐᲪᲘᲡ ᲛᲝᲛᲥᲕᲓᲠᲔᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲞᲘᲠᲘᲓᲐᲜ ᲑᲝᲚᲝ ᲐᲠ ᲐᲛᲝᲑᲠᲣᲜᲔᲑᲘᲐ.

ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲓᲦᲔ ᲐᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲕᲓᲜᲘᲡ ᲛᲔᲠᲒᲔᲚᲘ ᲛᲔᲠᲒᲔᲚᲘ ᲛᲝᲛᲐᲪᲣᲠᲘ ᲛᲝᲛᲠᲔᲒᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲮᲓᲐ ᲡᲐᲛᲐᲒᲘᲡᲝ ᲛᲝᲛᲠᲗ